

(სსმ III, 22.09. 2008 N 140 მუხ.1378)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
290.160.000.40.036.012.185

**საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის  
სააგენტოს უფროსის  
ბრძანება N 6  
2008 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის  
განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული კაპიტალის  
მინიმალური ოდენობის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და მე-20 მუხლებისა და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს დროებითი რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.დ.“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის მაძიებელი კომპანიებისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და მზღვეველისათვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა - 1 500 000 ლარი;
- ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) - 1 000 000 ლარი;
- გ) გადაზღვევა - 1 500 000 ლარი.

2. ლიცენზიის მაძიებელი კომპანია წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და მზღვეველი სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს მინიმალური კაპიტალის 80%-ს ფულადი ფორმით. მინიმალური კაპიტალის ფულადი ფორმით შევსებული ნაწილი განთავსებული უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში), რისი რეალობის დამადასტურებელ დოკუმენტად ლიცენზიის მაძიებელმა კომპანიამ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტი საბანკო დაწესებულებიდან

(დაწესებულებებიდან) საწესდებო კაპიტალის ფულადი ნაწილის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე. კომპანიის მინიმალური კაპიტალის არაფულადი ნაწილის არსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მამიებელმა კომპანიამ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს აგრეთვე უნდა წარუდგინოს მინიმალური კაპიტალის არაფულადი ნაწილის არსებობის დამადასტურებელი აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

3. მზღვეველი აგრეთვე ვალდებულია, ყოველი კვარტლის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა წარუდგინოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ დადასტურებული კვარტალური ამონაწერი ყოველდღიური ნაშთების შესახებ იმ ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), რომელზეც განთავსებულია მზღვეველის კაპიტალის ფულადი ფორმით შევსებული ნაწილის ან ცნობა საბანკო დაწესებულებ(ებ)იდან (რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო დაწესებულების ბლანკზე), სადაც მითითებულია კვარტალის განმავლობაში ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობა (წინამდებარე წესის დანართ N1-ში მოცემული ფორმის შესაბამისად).

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 1999 წლის 2 სექტემბრის N 40 ბრძანება “საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დამტკიცების შესახებ”.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### **გ. ქადაგიძე**

დანართი N1

#### **ცნობა**

**კვარტლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების ანგარიშზე არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობის შესახებ**

ცნობა ეძლევა \_\_\_\_\_ მასზედ, რომ 200 წლის \_\_\_\_\_ დან  
ორგანიზაციის დასახელება

200 \_\_ წლის \_\_\_\_\_ მდე მის ანგარიშზე N \_\_\_\_\_ მინიმალური ნაშთის  
ოდენობა შეადგენდა \_\_\_\_\_ ლარს.

ცნობა ეძლევა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში  
წარსადგენად.

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა

ხელმოწერა და ბეჭედი

